



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
25 თებერვალი, 2022 წელი
თბილისი

ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგია
მოსამართლე ლიელა ფოლადიშვილი

მოსარჩელები - 1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“, 2. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 3. გრიგოლ გაგნიძე

მოპასუხეები - 1. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2022 წლის 24 თებერვალს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის დირექტორმა და გრიგოლ გაგნიძემ სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ. შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

1. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის N689/ს ბრძანება;
2. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანება;

2.1. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანება;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის N1-1/26 ბრძანება ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის N14921/21 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამავე სარჩელში მოსარჩელებმა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით იშუამდგომლეს სასამართლოს მიერ საქმეზე რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებამდე „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანების და „შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანების მოქმედების შეჩერება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს და ამ ეტაპზე სარჩელი დასაშვებად არის მიჩნეული.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

დასახელებული ნორმების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სრულად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული,

თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც, სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის და გრიგოლ გაგნიძის სარჩელის გამო, მოპასუხეების - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, მესამე პირებად ჩაბმული უნდა იქნენ შპს „ტექნოლოჯი 2021“ და შპს „მნ ნორთი“, ვინაიდან აღნიშნული იურიდიული პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე. ამდენად, შპს „ტექნოლოჯი 2021“ და შპს „მნ ნორთი“ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ჩაბმული უნდა იქნენ მესამე პირებად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-4, მე-13, მე-16, მე-19, 26²-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 446-ე, 284-ე, 285-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის და გრიგოლ გაგნიძის სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. №3/1114-22 ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირებად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით ჩაბმულ იქნენ შპს „ტექნოლოჯი 2021“ და შპს „მნ ნორთი“;
3. დაევალოთ მოპასუხეებს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი პასუხები (შესაგებლები) და ადმინისტრაციული წარმოების მასალები,

სრულად;

4. 3/1114-22 ადმინისტრაციული საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე;

5. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, მხოლოდ საქმეში ჩაბმული მესამე პირების მიერ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №64) მეშვეობით;

6. განჩინების დანარჩენ ნაწილზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე
ლიელა ფოლადიშვილი